კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

სამუშაო შეხვედრების გეგმა

კოლეგებთან შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის სახელი, გვარი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ნათელა მაჭარაშვილი

#	**შეხვედრის თარიღი**	**შეხვედრის მიზანი**	**შეხვედრის თემატიკა**
1	1.05.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.	მეტაკოგნიცია-აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები.
2	8.05.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება. .	კოგნიტური დიაგრამები-ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი
3	15.05.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.	სწავლის ეფექტური სტრატეგიები.

1 შეხვედრის თარიღი-1.05.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა:

-მეტაკოგნიცია-აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები.

აქტუალობა–საკუთარი აზროვნების პროცესის მართვა მეტად მნიშვნელოვანია,რომელიც მოიცავს იმის გააზრებას, თუ რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები და როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი და წარმართო იგი სწორი მიმართულებით.მიიჩნევა, რომ მეტაკოგნიცია არის მაღალი დონის აზროვნება, მაგრამ ასევე წარმატებით შეიძლება განხორციელდეს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე.რაც უფრო მაღალია მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ მოსწავლეები.

მაგ.თუ მოსწავლემ ვერ გაიგო ტექსტის შინაარსი,ან ვერ ამოხსნა მაგალითი/ამოცანა, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს უნდა ვუბიძგოთ, დაიწყოს აზროვნება, თუ რა უშლის ხელს ტექსტის გააზრებასა თუ ამოცანის ამოხსნაში.ასეთ დროს ჩვენ კი არ ვაწვდით მზა სტრატეგიას, არამედ მოსწავლემ თვითონ უნდა მოიფიქროს გზა/სტრატეგია. რომელიც ამ სირთულის დაძლევაში დაეხმარება. ასეთ დროს მოსწავლემ ტექსტი შეიძლება დაყოს პატარა მონაკვეთებად და განიხილოს თითოეული მათგანი შინაარსობლივად, ბოლოს კი გამთლიანებული ტექსტის შინაარსზეც უნდა შეიქმნას წარმოდგენა.ამოცანის ამოხსნის დროს შეიძლება დაიხმაროს კლასში ამოხსნილი მსგასი ამოცანები, კონკრეტული ცხრილები/დიაგრამები ან გადაიკითხონ თეორიული მასალა და სხვა.უცხო ენების გაკვეთილზე შეიძლება დაიხმარონ ლექსიკონი და ა.შ. მხოლოდ ეს უნდა მოიფიქრონ და გააკეთონ თვითონ.

მსმენელებს წარვუდგინე ჩემ მიერ მე-6 კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, როდესაც მოსწავლეებს კონკრეტული ინფორმაცია უნდა შეეჯერებინათ მათთვის მისაღები ფორმით-ისტორიულ რუკებზე დაყრდნობით, ცნებების რუკითა თუ სხვადასხვა სქემებით.

დაგეგმვა–მოსწავლემ თავის თავს უნდა დაუსვას კითხვები-რა ვიცი არსებული საკითხის შესახებ,რა გამომადგება ნასწავლი მასალიდან პრობლემის გადასაჭრელად, როგორ გადავჭრა ამოცანა, რა არის არსებითი და სხვა.

მონიტორინგი–აქ მოსწავლემ თავის თავს უნდა დაუსვას კითხვები-სწორ გზაზე ვდგავარ თუ არა, ვიყენებ თუ არა შესაბამის ინფორმაციას, რა შეიძლება შევცვალო და ა. შ.,

შეფასება–აქ მოსწავლემ თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა-რამდენად სწორად გადავჭერი ამოცანა, მივაღწიე თუ არა შედეგს,რა ცვლილება უნდა განვახორციელო და სხვა.

მასწავლებელი კი მოსწავლეს უნდა დაეხმაროს საკუთარი აზროვნების პროცესის გაცნობიერებასა და ამოქმედებაში:მოცემული საკითხის შესახებ მოსწავლეთა სხვადასხვა შეხედულებები უნდა განვიხილოთ, უნდა დავუსვათ ისეთი კითხვები, რომელიც საკითხის სიღრმისეულად განხილვის შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, გამოვიყენოთ კითხვები-რა მოხდებოდა, ასე რომ არ

ყოფილიყო,სხვაგვარად როგორ შეიძლება გადაჭრილიყო ეს საკითხი და სხვა.ე.ი. მოსწავლეებმა თვითონ უნდა იაზროვნონ და დასკვნებიც თავადვე უნდა გააკეთონ.

ვფიქრობ, რომ მეტად მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარია,რომელიც მოსწავლეს მართლაც რომ მისცემს შესაძლებლობას საკუთარ აზროვნებაზე დაყრდნობით გააკეთოს დასკვნები და არა მასწავლებლის მიერ მიწოდებული მზა მასალით.

2 შეხვედრის თარიღი-8.05.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა:

-კოგნიტური დიაგრამები-ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი

აქტუალობა-ამ შეხვედრაზე განხილული იყო კოგნიტური დიაგრამები, რომლის დახმარებით მოსწავლე ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას, ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.ასეთი კოგნიტური სქემების გამოყენება შესაძლებელია როგორც გაკვეთილის დასაწყისში, ასევე შეჯამების ეტაპზე,ტექსტის დამუშავებისას, წერითი სამუშაოს დროს. აქ განვიხილე კოგნიტური სქემები, რომელიც შეეხებოდა მსგავსებებისა და განსხვავების იდენტიფიცირებას-ვენის დიაგრამა და შედარების მატრიცა.ვენის დიაგრამა პედაგოგებისათვის კარგად ნაცნობი სქემაა, თუმცა ეს ორი სქემა განვიხილე იმიტომ , რომ დეტალური მიდგომის დროს შედარების მატრიცა უფრო გამოიყენება, ვიდრე ვენის დიაგრამა, ამიტომ შედარების მატრიცაზე მუშაობა მოითხოვს უფრო დეტალურ ინსტრუქციას.მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის დროსაც. მასწავლებლებს დავურიგე ვენის დიაგრამისა და შედარების მატრიცის ფორმა, ასევე კლასიფიკაციისათვის საჭირო გრაფიკული სქემები.აქვე წარვუდგინე კონკრეტული შედარების მატრიცა, რომელიც ჩემ მიერ იყო გაკვეთილზე გამოყენებული მე-10 კლასში და შესადარებელი თემები იყო არქეოლოგია,ეთნოლოგია ნუმიზმატიკა,სიგილოგრაფია,რომელიც შედარების მატრიცაზე დაყრდნობით განახორციელეს მოსწავლეებმა.

ვფიქრობ, რომ კოგნიტური დიაგრამები მასწავლებელმა შეიძლება გადააქციოს მოსწავლეთა სააზროვნო უნარების ჩამოყალიბება/განვითარების საფუძვლად.

3 შეხვედრის თარიღი-15.05.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა:

-სწავლის ეფექტური სტრატეგიები.

აქტუალობა-მესამე შეხვედრაზე სწავლის ეფექტური სტრატეგიები განვიხილე და ყურადღება გავამახვილე შემდეგ საკითხებზე:

-კონკრეტული მასალიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა,რომელიც უნდა დავიწყოთ მიზნის გაცნობით,ძირითადი ცნებების გამოყოფით და ამავე ძირითად ცნებებზე ორიენტირებული კითხვებით,ასევე ყურადღება გავამახვილე მარკირების მეთოდზე-სხვადასხვა ფერის მარკერებით გავხაზოთ მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ცნებები, T-დიაგრამის ერთ სვეტში დავალაგოთ მნიშვნელოვანი ცნებები, მეორეში მეორეხარისხოვანი და ა.შ.

-არსებული ცოდნის გახსენება-გაკვეთილის საწყის ეტაპზე იმ საკითხების გახსენება, რომელიც ახალ თემასთანაა კავშირში, შემდეგ მოსწავლეებმა ახალ მასალის შესახებ რაც იციან, უნდა მივცეთ აზრის გამოთქმის საშუალება;

-ჩანაწერების გაკეთება, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით ჩაწერაში, ყურადღების კონცენტრაციაში.მთავარია, მათ ვასწავლოთ სწორი ჩანაწერების გაკეთება, რომელიც ორიენტირებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობაზე და თან დროდადრო უნდა გავაკონტროლოთ ეს ჩანაწერები, რადგან დავალება, რომელსაც მოსწავლეებს მივცემთ, დამოუკიდებლად უნდა შეასრულონ ამ ჩანაწერების საფუძველზე. შეიძლება მოსწავლეებს ჩანაწერების გაკეთების დროს შევთავაზოთ რუკები, მატრიცები;

-ინფორმაციის ორგანიზება, რომლის დროსაც ეფექტური სტრატეგიაა მასალის მონახაზის გაკეთება,რაც ძირითადი იდეების ინფორმაციულ ორგანიზებას გულისხმობს.უნდა გამოვიყენოთ ცნებათა რუკა,რომელიც ვიზუალურად გვიჩვენებს ახალ ცნებებსა და არსებულ ცოდნას შორის კავშირს.

-მასალის შეჯამება, როდესაც მოსწავლეებს უნდა ვთხოვოთ თავიანთი მოსაზრების დასაბუთება,წერით თუ ზეპირი პრეზენტაციების მომზადება,წაშალონ ნებისმიერი ზედმეტი ინფორმაცია,საკვანძო სიტყვებზე ააგონ თემის შინაარსი.

-გაგება-გააზრების შემოწმება, როდესაც მოსწავლეებს შეიძლება დავურიგოთ თვითშეფასების ცხრილები, რომელიც უნდა შეავსონ;

სამივე შეხვედრის შეჯამება-სამივე შეხვედრაზე მოხდა დასახული მიზნების სრულად მიღწევა.ყველა საკითხი ამომწურავად იყო განხილული.

მსმენელებს ვთხოვე, კონკრეტული ცნებები გაეხსენებინათ, რაც ამ შეხვედრაზე გამოვიყენე, საკვანძო სიტყვებზე აეგოთ შინაარსი, გაეკეთებინათ მოკლე ჩანაწერი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და მოკლე ჯგუფური პრეზენტაცია გაეკეთებინათ. პრაქტიკულად დავალების შესრულება მათ დიდ დახმარებას გაუწევს ამ ცოდნის საკლასო სივრცეში გადატანის დროს.

შეხვედრების ძლიერი მხარე იყო ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება.

ვფიქრობ, რომ ასეთი სახის შეხვედრების ორგანიზება გარკვეული სიხშირით აუცილებლად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით .

შეხვედრას მუდმივად ესწრებოდა ცხრა პედაგოგი, მაგრამ ნაწილმა უარი განაცხადა რეფლექსიების დაწერაზე, თუმცა შეხვედრების ეფექტურობას აღასტურებს შეხვედრებში მონაწილე დანარჩენი ხუთი მასწავლებლის რეფლექსია, რომელიც შესაბამისად ატვირთეს eschool-ის ბაზაში(ნელი გაბიდური, ირინე იაკობაშვილი, თამარ მეცხვარიშვილი,მარეხი კუტალაძე, მზია დეკანოიძე),სწორედ ამიტომ დასწრების ფურცელში მინიშნებული მაქვს მხოლოდ იმ პედაგოგების მონაცემები, რომლებმაც დაწერეს და ატვირთეს რეფლექსიები.

დანართის სახით წარმოდგენილი დასწრების ფურცელი შეხვედრების ჩატარების თარიღის, დროისა და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.